გიორგი გიორგაშვილი



თბილისი, 2016

რედაქტორი: **ანა გიორგაშვილი**

გამოცემის რედაქტორი: **მარინე მარკოზაშვილი**

ტექრედაქტორი: **ალექსანდრე კუზანაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

კახა გიორგაშვილი

კორექტორი: **მარია გორდოვა**
ნატალი ჭუმბურიძე
მაკა შალიკაშვილი
თეა ნემსაძე

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა
„თეკა&კომპანია“-ში

© გიორგი გიორგაშვილი. თბილისი 2016.
ISBN

წინათქმა

საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანმა თუ იცის ფენ-შუის შესახებ და იყენებს მას.

ფენ-შუის წარმოშობა ჩინეთთან არის დაკავშირებული. ეს არის უძველესი ხელოვნება, მეცნიერება, თუ როგორ შეიძლება იცხოვროს ადამიანმა ბუნებასთან ჰარმონიაში, როგორ მოაწყოს თავისი საცხოვრებელი ადგილი და ცხოვრება გახადოს უფრო ლამაზი და წარმატებული.

ფენ-შუის ხელოვნებით პირველად, 2011 წელს დავინტერესდი ამერიკაში სწავლის და ცხოვრების დროს და შემდეგ უკვე მისი შესწავლა 2015-2016 წლებში ჩინეთში განვაგრძე, სადაც ეს წიგნი დაიწერა.

საქართველოში არ არსებობდა არანაირი ლიტერატურა ქართულ ენაზე, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემდა გასცნობოდა და უკეთ შეესწავლა ის. ამიტომ, გადავწყვიტე დამეწერა წიგნი ფენ-შუის და გამდიდრების ხელოვნების შესახებ და გამეზიარებინა თქვენთვის ჩემი ცოდნა, გამოცდილება, რაც 5 წლის განმავლობაში დამიგროვდა.

წიგნი „ფენ-შუი და ფული“ გახლავთ ჩემთვის უკვე რიგით მესამე, რომელიც ამავე წიგნში მოცემული და აღწერილი სისტემის საშუალებით დავწერე. ნამდვილად გასაოცარია და დაუჯერებლადაც შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ როდესაც ფენ-შუის ხელოვნების გამოყენება და 28 დღიანი პროგრამის შესრულება დავიწყე, მეორე დღიდან გადავწყვიტე დამეწერა წიგნი, „სხეულის ენა და აზრების წაკითხვის ხელოვნება“, რომელიც ზუსტად 28 დღეში დავამთავრე და გამოვეცი. აღსანიშნავია ისიც, რომ 28 წლის გახლდით ამ დროს. ამის შემდეგ, გავიდა 1 თვე და კვლავ გადავწყვიტე ახალი წიგნის დაწერა „რას ამბობს სხეული და სახე“. ეს წიგნიც ზუსტად

28 დღეში დაიწერა. ორივე წიგნმა დიდი მოწონება დაიმსახურა და გამოხმაურებაც მოჰყვა.

ამის შემდეგ, კიდევ უფრო აქტიურად განვაგრძე ფენშუის ხელოვნების შესწავლა, გამოყენება და მისი დახმარებით უკვე მეორედ გავემგზავრე ჩინეთში სასწავლებლად, სადაც ეს წიგნი დავწერე.

ნათქვამია, იმისათვის რომ მეტი ისწავლო და გაიგო სხვებსაც უნდა გაუზიარო შენი ცოდნა. ამ დროს შენც უკეთ სწავლობ.

მინდა მოვიყვანო ორი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება გახდეს ადამიანი მდიდარი და წარმატებული.

ძველ ჩინეთში, ცხოვრობდა ერთი მშრომელი, ბეჯითი, სიცოცხლით და სიყვარულით აღსავსე ახალგაზრდა, რომელსაც სურდა, ძალიან მდიდარი ადამიანი გამხდარიყო და ყველა გაჭირვებულს დახმარებოდა. მან გადაწყვიტა შეხვედროდა სიბრძნის მასწავლებელს – ლაო ძის და მისთვის ეკითხა რჩევა, თუ როგორ გამხადარიყო ყველაზე მდიდარი ადამიანი მსოფლიოში. მან 28 დღე – ღამე შეუსვენებლად იარა და ყველაფერი გააკეთა, რათა სიბრძნის მასწავლებლამდე მიეღწია და ეს კითხვა დაესვა. როდესაც ლაო-ძიმ გაიგო, რომ ახალგაზრდა მას ეძებდა და მასთან შეხვედრა სურდა, არ დაიზარა და შეხვდა. ახალგაზრდამ სთხოვა მას, მხოლოდ ერთ კითხვაზე გაეცა პასუხი.

ახალგაზრდამ კითხა: „როგორ გავხდე ყველაზე მდიდარი და წარმატებული ადამიანი მსოფლიოში?“

ლაო-ძიმ კი შემდეგნაირად უპასუხა: „ყველა ადამიანის გულში ცხოვრობს ორი ქალღმერთი. ყველას ძალიან უყვარს ისინი, მაგრამ არის კიდევ ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო, რომელიც უნდა იცოდე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ძალიან გიყვარს, ყველაზე მეტად უნდა გიყვარდეს და მეტი ყურადღება უნდა მიაქციო ერთ-ერთს და ის არის „ცოდ-

ნის ქალღმერთი“. გიყვარდეს ის და ყურადღება არ მოაკლო მას. მეორე, ეს არის „სიმდიდრის ქალღმერთი“. რაც უფრო მეტად გეყვარება „ცოდნის ქალღმერთი“, მზრუნველობას და ყურადღებას არ მოაკლებ მას, მით უფრო მეტად იეჭვიანებს „სიმდიდრის ქალღმერთი“ და მეტ ყურადღებას მოგაქცევს, თავს არ დაგანებებს, ყველგან გამოგყვება და სიმდიდრე რომლის მოპოვებასაც ცდილობ, სამუდამოდ შენი იქნება“.

ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ სიმდიდრე კი არ უნდა ვინატროთ, არამედ მეტი უნდა ვისწავლოთ და ავლა-დიდება თავისით მოვა ჩვენთან. ცოდნას, სურვილს და მონდომებას ყველაზე დიდი ძალა აქვს და მას ყველაფრის შექმნა შეუძლია.

მეორე მაგალითი „წმინდა ბიბლიიდანაა“, სოლომონ მეფის შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, სოლომონი ყველაზე ბრძენ, მდიდარ და ხელგაშლილ მეფედ ითვლებოდა და ცოტამ თუ იცის და დაკვირვებია საიდან, რა გზით და რისი წყალობით მიიღო მან ეს ცოდნა და ქონება.

ამონარიდი ბიბლიიდან:

„ერთხელ სოლომონმა დიდხანს ილოცა მხურვალედ და გულმოდგინედ კრებულის კარავში. იმავე ღამეს უფალი გამოეცხადა სოლომონს სიზმარში და უთხრა: მთხოვე, რაც გინდა, და მოგანიჭებ. სოლომონი მეტად გონივრულად მოიქცა ამ შემთხვევაში, მან მიმართა ღმერთს შემდეგი თხოვნით: უფალო! შენ დამაყენე მრავალი ხალხის მეფედ, ხოლო მე ჯერ ყმაწვილი და გამოუცდელი ვარ; მისი კეთილად მართვა მიძნელდება ძალიან. ამისათვის გევედრები. მომანიჭო მე გონება და სიბრძნე, რათა შემეძლოს სწორედ განსჯა ხალხისა, მისი მოვლა და მართვა, შეუცდენლად ვარჩევდე ბოროტს კეთილისაგან და ვიდგე სწორ გზაზედ. ღმერთს მეტად ეამა ამგვარი გონიერი თხოვნა. მან უპასუხა სოლომონს: რადგან შენ არ მთხოვე არც დღეგრძელობა, არც

სიმდიდრე და არც დიდება, ამისთვის აგისრულებ სურვილს: მოგანიჭებ იმისთანა გონებას და სიბრძნეს, რომ შენი ბადალი მთელ ხმელეთზედ არ იყოს; ამასთან მოგცემ შენ იმასაც, რაც არა მთხოვე – გაგამდიდრებ და აგავსებ დიდებითა. და თუ შეურყევლად იდგები შენს სიცოცხლეში ჩემს მცნებებზე, მოგანიჭებ დღეგრძელობასაც. სოლომონმა დიდის ამბით გადაუხადა მადლობა ამისთანა უხვი მოწყალებისათვის“.

ორივე მაგალითი, მკაფიო ნიშანია იმისა, თუ სწავლას, სიყვარულს და ახლის ძიებას, როგორ შეუძლია შეცვალოს ადამიანის ცხოვრება. ამ წიგნში მოცემული ცოდნა, სიბრძნე, ფილოსოფია და სისტემა ერთ-ერთი გზაა, წარმატების მიღწევის და გამდიდრების, რომელიც, ახლა უკვე ყველა ქართველს შეუძლია წაიკითხოს, გაეცნოს და შეისწავლოს.

ყველას გისურვებთ წარმატებებს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, უდიდეს სიყვარულს, ხვავს და ბარაქას!

პირველი ნაწილი

თავი 1

ფენ-შუი და მისი ისტორია

ფენ-შუის ძალიან დიდი ისტორია აქვს და მისი წარმოშობა ჩინეთს უკავშირდება. მას ჩინურ ტრადიციებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა და უკავია. დღეს, მას ძალიან ბევრი მიმდევარი და პრაქტიკოსი ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ფენ-შუი ასევე მისტიური კულტურის ნაწილად მიიჩნევა ჩინეთში. მისი მიზანია ორი სამყაროს ხილულის და უხილავის, ზეციურის და მიწიერის გაერთიანება, შერწყმა. ჩინელები ხილულ სამყაროს „იუ“ ხოლო უხილავს, ვიბრაციულ სამყაროს „კან“-ს უწოდებდნენ. ფენ-შუიზე გადის ზღვარი ამ ორ სამყაროს შორის. თავდაპირველად მას „კანიუ“-ს უწოდებდნენ, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა.

უძველესი ჩინური ტრადიციული მედიცინის 8 „სხივი“-ს შესწავლის საგნები იყო: აკვაპუნქტურა, ჰერბალური მედიცინა, უშუ (ჩინური საბრძოლო ხელოვნება), ქიქონი (სუნთქვითი ვარჯიშები), კვების ენერგეტიკა, მოქსიბისცია, მედიტაცია, ასტროლოგია და მათ შორის იყო ფენ-შუიც.

ფენ-შუის დიდი გავლენა აქვს არქიტექტურაზე, მშენებლობაზე, ადამიანის ჰარმონიულ კავშირზე ბუნებასთას. ფენ-შუი არის სწავლება ზეციერის და მიწიერის შესახებ ადამიანებთან მიმართებაში, რომელსაც ჩინურად „ტაო“-ს ანუ ყველაფრის საწყის და მამოძრავებელს უწოდებდნენ.

ფენ-შუი სიტყვასიტყვით ნიშნავს „ფენ“ – ქარი და „შუი“ – წყალი, რომლებიც ადამიანის ჰარმონიას და ბალანსს წარ-

მოადგენენ სამყაროსა და მის კანონებთან. ეს უძველესი ხელოვნება ეფუძნება „ცი“ ენერგიის გამოყენებას და გავლენას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თავდაპირველად, მისი გამოყენება 6000 ათასი წლის წინ დაიწყეს ფიზიკოსებმა, ფილოსოფოსებმა, ასტრონომებმა და ასტროლოგებმა.

ფენ-შუის თანახმად, ადამიანის ურთიერთობები, სიმდიდრე, სიყვარული, წარმატება, ჯანმრთელობა, ბედნიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განათავსებენ ნივთებს და ავეჯს სახლში, ბინაში, ოფისში. თუ თქვენი სახლი არასწორად არის მოწყობილი, დაგეგმარებული და ნივთებიც არასწორადაა განთავსებული, ეს გამოიწვევს სასიცოცხლო „ცი“ ენერგიის დასუსტებას და პრობლემებს შეგიქმნით. ფენ-შუის მიზანი ძლიერი, დადებითი „ცი“ ენერგიის მოზიდვა და მასთან ჰარმონიაში ყოფნაა.

უძველესი ჩინური დინასტიების ეპოქაში, ფენ-შუი ცნობილი იყო, როგორც „სიანდი“, რაც ნიშნავდა მიწის დაკვირვებას, შეფასებას და შესწავლას. სიანდის გამოყენებით ძველ ჩინელებს შეეძლოთ სალოცავების, ტაძრების და ნოყიერი მიწების სწორად შერჩევა. ამ დროიდან თანდათან დაიწყო ფენ-შუის ჩამოყალიბება და მისი პრინციპების განვითარება.

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ძველად ჩინელები საცხოვრებლად ირჩევდნენ ისეთ ადგილს, რომელიც იყო შემაღლებულ ადგილზე ან გორაზე, მდინარესთან ახლოს, რათა წყლით და საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფილნი ყოფილიყვნენ. მათ მიერ აშენებული სახლები მდინარის ჩრდილოეთით მდებარეობდა. სახლის უკანა მხარე ჩრდილოეთისკენ იყო მიმართული, ხოლო წინა სამხრეთით, რათა ზამთარში ჩრდილოეთის ქარისგან დაცულები, ხოლო ზაფხულში გრილად ყოფილიყვნენ.

საქართველოს მაგალითსაც თუ გავითვალისწინებთ,

ჩვენი წინაპრებიც სალოცავების, ციხე-სიმაგრეების აგების დროს ცდილობდნენ წყალთან და ბუნებასთან ახლოს ყოფილიყვნენ და მტრისგან დასაცავად ბუნებრივი პირობებიც (მთა, ტყე, მდინარე) ჰქონოდათ. მათ გააჩნდათ ცოდნა სამყაროს კანონების შესახებ და აქტიურად იყენებდნენ ყოველდღიურ საქმიანობაში.

კინ დინასტიის ეპოქაში (ძვ. წ. 221 – 207 წწ.) გეოგრაფები სწავლობდნენ „დიმაი“-ს ანუ დედამიწის არტერიების და მიმართულებების კონცეფციებს. სწორედ ამ დროს დაიწყო ჩინეთის დიდი კედლის და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების მშენებლობა.

ამ პერიოდში ჩინელმა ხალხმა დაკრძალვის რიტუალების შექმნა და მიცვალებულისთვის ადგილის სწორად შერჩევის შესწავლა დაიწყო. ისინი მიცვალებულებს თავს დასავლეთით, ხოლო ფეხებს აღმოსავლეთით უქცევდნენ.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში უფრო განვითარდა და დაიხვეწა ფენ-შუი. მის შესახებ ცოდნა ძირითადად საიმპერატორო კარს და მაღალი კლასის ხალხს გააჩნდა.

10-ე საუკუნეში ფენ-შუიმ სამეცნიერო ხასიათი შეიძინა და ბევრი მცოდნე და კრიტიკოსი ადამიანი გაჩნდა. მის შესახებ იწერებოდა წიგნები და ფენ-შუის გავლენა ყველა სფეროში დღითიდღე იზრდებოდა.

მინგის დინასტიის პერიოდში (ახ. წ. 1368 – 1644 წწ.) ფენ-შუის პრაქტიკოსებს და მიმდევრებს „ინი“ და „იანი“-ს ექსპერტებს უწოდებდნენ. იმპერატორმა ზუ იუანჩანმა გადაწყვიტა თავისი საიმპერატორო ქალაქი პეკინში, ფენ-შუის მიხედვით აეშენებინა, რაც წარმატებით განახორციელა.

ფენ-შუიში ძალიან დიდი როლი უჭირავს ლო-შუს, რომელსაც ბაგუას მაგიურ კვადრატსაც უწოდებენ და მისი აღმოჩენა დაკავშირებულია მდინარე ლოდან ამოსულ კუსთან, რომლის ბაქანზეც განლაგებული კვადრატები იმპერატორმა

იუმ შენიშნა და მისი შესწავლა გადაწყვიტა. ეს უძველესი მათემატიკური დიაგრამა აღწერს წელიწადის დროების კოსმოლოგიურ წყობას, მიმართულებებს, ასევე დაკავშირებულია 5 ელემენტის თეორიასთან და გარე საყაროს პრინციპების და კანონების შეცნობაში გვეხმარება. ლო-შუს კვადრატი 9 ნაწილადაა დაყოფილი. საუკუნეების განმავლობაში ფენ-შუიში კუს ბაქანი გამოიყენებოდა სხვადასხვა მიმართულების დასადგენად, მოგვიანებით კი ის კომპასმა შეცვალა, რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება.

სონგის დინასტიის პერიოდში (ახ. წ. 960-1279წწ.), ფენ-შუი გაიყო და ორ სკოლად -კომპასური და ფორმალური ჩამოყალიბდა.

კომპასური სკოლა, ჩინურად „ლი ქი პაი“ ენერგიის ფორმას სწავლობს და მისი მეშვეობით სახლის მომავალი მეპატრონის ასტროლოგიური ჰოროსკოპის შესწავლაც არის შესაძლებელი.

ფორმალური სკოლა კი, რომელიც „ლო პანი“-ს სახელწოდებითაც არის ცნობილი, სპეციალური კომპასის გამოყენებით, საშუალებას იძლევა დავადგინოთ უხილავი ენერგია, მისი გავლენა საცხოვრებელზე და დავაბალანსოთ ის. ლო პანი იყენებს ტაოს კონცეფციას და ამბობს რომ უხილავი – ზეციური და ხილული – მიწიერი ენერგიები ჰარმონიაში უნდა იყოს, რათა ჯანმრთელად ვიყოთ და დიდი სიმდიდრე შევიძინოთ. ორივე სკოლას ერთი მიზანი აქვს. ეს არის ადამიანის და გარემოს ჰარმონიული თანაარსებობა.

ფენ – შუის შესახებ ჯერ კიდევ სონგის დინასტიის დროს 102 კლასიკური წიგნი დაიწერა. ფენ-შუის პრაქტიკოსმა და მიმდევარმა – ვუ ჯინ ლუანმა დაწერა წიგნი „ინი და იანის ციური პოლუსები“. ამ ხელოვნების შესახებ, ასევე წერია უძველეს ტექსტებში. მაგალითად: „ში ცზინი“-ში („სიმღერების წიგნი“), რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე მე-9 საუკუნეში დაიწერა

და „ლი ცზის“-იში („რიტუალების წიგნი“), სადაც საუბარია ფენ-შუის გამოყენების მეთოდებზე.

მოგვიანებით, მინგი და ჯინგი დინასტიების დროს (ახ. წ. 1368 – 1949 წწ.) ბევრი ფენ-შუის მეთოდი და ტექნიკა განვითარდა და დაიხვეწა. მათ შორისაა „მფრინავი ვარსკვლავის მეთოდი“, „ბა ძაი“ – 8 სახლის მეთოდი, „სან ჰე“ ანუ „სამმაგი კომბინაციის სკოლა“, „მინგ კვა“ – ბედის რიცხვის სკოლა, ჩინური ჰოროსკოპი, რომელიც ცნობილია როგორც „ბედის 4 სვეტი“ და „ძუ ვეი“ – მეწამული სასახლის ასტროლოგია.

მფრინავი ვარსკვლავის მეთოდით ხდება საცხოვრებელი ადგილის ენერგიის შეფასება, ბედის დადგენა და მისი მომავლის წინასწარმეტყველება. ეს მეთოდი იყენებს დროის პერიოდებს, რომლის ფორმულაც გამოსახულია ბაგუაზე ანუ ლო შუს დიაგრამაზე.

ჩინეთში ახლა უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს „იან ძაი“ ანუ „ცოცხალი“ ფენ-შუი, განსაკუთრებით კი ჰონგ-კონგში და მთავრობაც ხელს უწყობს მის განვითარებას.

ფენ-შუის პრაქტიკოსს უნდა შეეძლოს როგორც ფორმალური, ისე კომპასური სკოლის მეთოდების სწორად გამოყენება და მისი საშუალებით კლიენტისთვის ყველაზე ოპტიმალური და საუკეთესო რჩევის მიცემა.

ფენ-შუი დღეს საქართველოშიც თანდათან პოპულარული ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

რობერტ ალენი – სიმდიდრის შექმნა. ნიუ-ორკი, 1986.

სტივენ პოსტი – ფენ-შუის თანამედროვე წიგნი. ნიუ-ორკი, 1998.

ლილიან ტუ – 365 რჩევა ფენ-შუის მიხედვით. კონსეპ ლეგენდა, 2011.

ლილიან ტუ – სიმდიდრე და კეთილდღეობა. ორიენტალ ფაბლიქეიშენსი, 2001.

ალექსანდრა სტოდარდი – მშვენიერი ცხოვრება. ნიუ-ორკი, 1988.

კატრინ ვებერი – საცხოვრებელი სივრცე. თქვენი სახლის ტრანსფორმაცია. ჩიკაგო, 2012.

ერნესტ ჯ. ეიტელი – ფენ-შუი. ჰონგ-კონგი, 1873.

სარჩევი

წინათქმა 3

თავი 1

ფენ-შუი და მისი ისტორია 7

თავი 2

„ცი“ ენერგია 12

თავი 3

ინი და იანი 14

თავი 4

5 ელემენტი ფენ-შუიში 16

თავი 5

ბაგუა და მისი გამოყენების წესი 21

თავი 6

დაბადების ელემენტის დადგენა 28

თავი 7

გუა რიცხვის დადგენა და იღბლიანი მიმართულებები 30

თავი 8

მისაღები ოთახის მოწყობა ფენ-შუის მიხედვით 35

თავი 9

საძინებელი ოთახის მოწყობა ფენ-შუის მიხედვით 43

თავი 10

სამზარეულოს მოწყობა ფენ-შუის მიხედვით 51

თავი 11

სააბაზანოს მოწყობა ფენ-შუის მიხედვით 58

თავი 12

საბავშვო ოთახის მოწყობა ფენ-შუის მიხედვით 63

თავი 13

ოფისის მოწყობა ფენ-შუის მიხედვით 67

თავი 14

ბაღის მოწყობა ფენ-შუის მიხედვით 72

თავი 15
სახლის სწორად დალაგება და აურის გაწმენდა.....77
თავი 16
ფენ-შუი და სარკე.....80
თავი 17
ყვავილები და მცენარეები.....84
თავი 18
ფერების მნიშვნელობა ფენ-შუიში.....90
თავი 19
კრისტალების მნიშვნელობა ფენ-შუიში.....95
თავი 20
სიმბოლოების მნიშვნელობა ფენ-შუიში.....99
თავი 21
ფულის ისტორია და მისი სიმბოლური მნიშვნელობა.....113
თავი 22
ფულის მოზიდვის და გამრავლების 48 წესი ფენ-შუის მიხედვით..118
თავი 23
ვალებისგან თავის დაღწევის და დეფიციტის შევსების 12 გზა.....123
თავი 24
ფულის ხე და მისი მნიშვნელობა ფენ-შუიში.....126
თავი 25
საფულის სწორად შერჩევა და მისი საიდუმლოებანი.....130
თავი 26
ბიზნესის განვითარება და გაყიდვების
გაორმაგება ფენ-შუის გამოყენებით.....136
თავი 27
სიმდიდრის მუდრა.....139
თავი 28
წარმატების და გამდიდრების 28 დღე.....141
გამოყენებული ლიტერატურა.....188